ახალი საქართველო

PARIS, 5 Octobre 1925
N° 12

Journal Géorgien " LA GÉORGIE NOUVELLE " — Directeur-Éditeur : G. Veshapely.
პერიოდიული ორგანო გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

პარიზი
5 ოქტომბერი 1925 წელი

Adresse : Boîte Postale N° 7, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Abonnement : 20 frs pour 6 mois (Pour l'Étranger ... 100 francs) | Prix du Numéro Étranger : 5 frs, France : 1 fr

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ. საკმარისია მისამართის შეტყობინება·

ახალი ქართული საზოგადოება

პარიზში

«მავი გიორგის» ხულიგანობამ, რომელიც ჩაიდინეს 9 აგვისტოს რამოდენიმე კომინტერნის აგენტებმა,—როგორც უკვე ვწერდით, ვერ შეუშალა მაინც ხელი საბჭოთა ქართული კოლონიის ორგანიზაციას პარიზში.

მეორე კვირამივე, 21 აგვისტოს, შედგა შეწყვეტილი კრების გაგრძელება; მოსმენილ იქმნა «ახალი ქართული საზოგადოების» წესდების პროექტი და აირჩიეს გამგეობა.

ვინაიდან კლიშის რაიონი მეტის მეტად წითელია მაგ-თეთრ ხულიგანებისათვის,—ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს «ლეგაციამ» მიმართა უფრო უშიშარ ზომას—დაგვაბეზღეს ფრანგულ პრეფექტურაში—არიქა კომინტერნის აგენტების კრებაა— მიასწარითო! მოვიდა პარიზის საიდუმლო პოლიციის «უხილავთა ბრიგადა»—დაგვათვალიერეს, იკითხეს ვინაობა და კრების საგანი... ძლიერ გაოცდნენ, როცა «ლეპანტ-რუსების» მაგიერ ნახეს 30-ოდე ქართველი მოქალაქე, მათ შორის მანდილოსნებიც... კიდევ უფრო გაოცდნენ, როცა წაიკითხეს ფრანგულად დაწერილი «ახალი ქართული საზოგადოების» ნორმალური ხასიათის წესდების პროექტი...მაგრამ ყველაზე მეტად გაჰკვირდენ, როცა გაიგეს, რომ ინიციატორნი საბჭოთა ქართული საზოგადოების დაარსებისა (მუშები) თვით მიემგზავრებოდნენ მარსელიდან მიმავალი პირველი გემით იმ საქართველოში, სადაც ჩხენკელის ლეგაციის უმთავრესი მომღერალი... მიხედვით ყველა არა ბოლშევიკი ან დახვრეტილია, ან გადასახლებული ან და დატუსაღებული არის...

ამ მხრივ 21 აგვისტოს მოწყობილი ვიზიტი ფრანგული პოლიციისა საბჭოთა ქართული კოლონიის კრებაზე,— ალბად დათვურ სამსახურს გაუწევს ჩხენკელის «საელჩო» ავტორიტეტს...

ამგვარად პირველი ეტაპი საბჭოთა ქართული კოლონიის ორგანიზაციისა დასრულებულია: «ახალი ქართული საზოგადოება» შემდგარია, მისი გამგეობაც ჩამოყალიბებული არის სათანადო ოქმით.

ახლა საჭიროა, რომ «ახალი ქართული საზოგადოების» გამგეობა შეუდგეს წესდების მიერ დასახულ მიზნების მიღწევას.

როგორც 21 აგვისტოს კრების დროს ითქვა (ვანო ალიხანიშვილის, თედო დემეტრაშვილის და სხვათა მიერ) პარიზის ქართული ემიგრანტული კოლონია საჭიროებს კულტურულ კავშირს სამშობლოსთან, მას უნდა ქართული სამკითხველო და ქართული ლექციები; ხალხი საჭიროებს მატერიალურ დახმარებას საფრანგეთში მუშაობის დროს (შრომის ბიურო და სხვა); ხალხს უნდა დახმარება საბჭოთა მოქალაქეობის უფლებების აღდგენის საქმეში (როგორც ვიცით, ვადა სათანადო მუაღვომლობის აღძვრისა თავდება ამ წლის დამლევს დეკემბერში); და ბოლოს ემიგრაციის ის ნაწილი, რომელიც მზადაა სამშობლოში დაბრუნდეს, რათა ამით თავიდან აიცილოს დენაციონალიზაციის და დემორალიზაციის ბედი,—საჭიროებს სათანადო დახმარებას.

ჩვენ ვიცით, რომ «ახალი ქართული საზოგადოების» გამგეობა უკვე შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას და იმედი გვაქვს, რომ მოკლე ხანში იგი, მოახდენს რა წესდების რეგისტრაციას,—გამოვა პარიზის ემიგრაციის ასპარეზზე როგორც ახალი საზოგადოებრივი ფაქტორი.

არავერია, რომ საბჭოთა ქართული კოლონია დღეს უმცირესობას შეადგენს პარიზში; გაივლის, თუ არა უფრო ადრე, იგი ალბად ისეთივე უმრავლესობა იქნება, როგორც არის დღეს ქართული საბჭოთა კოლონია ბერლინში.

ძველი კოლონიის მეთაურების (დ. ხნიოტლაძის და დ. დუმბაძის) ფინანსიური კომბინაციები ვერ შეაჩერებს ემიგრანტული მასის ლტოლვას მინისკენ.

ვანდერველდე და ნანსენი

საქართველოსა და კავკასიის დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დასახიათებისათვის ორი ფაქტია საგულისხმო.

პირველი არის ვანდერველდეს დეკლარაცია საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

მეორე არის ნანსენის პროექტი საბჭოთა სომხეთისათვის ხალხთა ლიგის სესხის მიწყობის შესახებ.

ვანდერველდეს დეკლარაციამ მენშევიკურმა ყოფილმა «მთავრობამ» გამოიყენა ახალი ილიუზიის შესაქმნელად, სახოწარკვეთილების კარზე მისულ ემიგრაციის სანუგეშოდ.

ბრიუსელში და ჟენევაში ჟორდ ძმებმა შავიშვილებმა დაიწყეს არ არსებ... ქართული კოლონიების სამადლობელო ადრესების გამოგზავნა ვანდერველდეს მიმართ.

შავიშვილების «საინფორმაციო ბიუროების» მიხედვით ბელგიელი ვანდერველდე აღმოჩნდა ერთად ერთი სოციალისტი მინისტრი, რომელიც მენშევიკური საქართველოს სახელზე გაცემულ თამასუქებს იცავს.

ინგლისელმა მაკდონალდმა გარდა თანაგრძნობისა ვერ გაბედა ნოე ჟორდანიას «მთავრობის» საკითხის წამოყენება საბჭოთა კავშირის ცნობის დროს.

ფრანგმა ერიომ ვერ მოახერხა პირდაპირ დასახელება «ქართული საკითხის», მაგრამ საბჭოთა ფედერაციის საკავშირო ელჩის, კრასინის მიღებასთან ერთად მან შეასრულა რენოდელის შეუაღვომლობა, რომ არ დაეხურათ ჩხენკელის ლეგაცია.

ბელგიელი ვანდერველდე კი, თურმე, შავიშვილის სააგენტოს მიხედვით, ასწრობს მაინდობაში ინგლისელებსაც და ფრანგებსაც: «ვანდერველდემ განაცხადა რომ იგი აყენებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის საკითხს, როგორც საბჭოთა კავშირის ცნობის წ ი ნ ა ს წ ა რ პ ი რ ო ბ ა ს ო»!..

ეს სენსაციური ამბავი შავიშვილებმა მოდეს პრესას (მაგალითად, პარიზის «ენფორმასიონ» «ჟურნალ დე ჟენევ» და სხვა)

მოლა ნასრედინის არ იყოს, ვინც ეს ჭორი გაავრცელა ალბად დაბოლოს თვითონაც დაიჯერა: «ვანდერველდე ჩაგვიყვანსო»!..

თუ სად და როგორ შეუძლია ამ ხალხის ჩაყვანა ვანდერველდეს,—ეს საკმარისად ნათლად სჩანს, ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ს ტ ე ნ ო გ რ ა მ ი დ ა ნ, რომლის მიხედვით ბელგიის მთავრობამ უნდა დაიცვას საბჭოების ცნობის დროს საქართველოსა და სომხეთის ძველი მთავრობების უფლებანი, ისე როგორც მოიქცა საფრანგეთი საბჭოების ცნობის დროს (იხ. ლიეჟის გაზეთი «ვალონი», 6 სეპტემბერი).

ხოლო საფრანგეთმა რა ქნა, ეს ხომ უკვე ვიცით,— დროებით, ყოველშემთხვევისათვის, არ დაკეტა ჩხენკელის დუქანი! და თუ ბელგია ასევე უნდა მოიქცეს, სადღაა საფრანგეთის წინ გასწრება? მით უფრო, რომ ბელგიაში არავითარი ქართული ლეგაცია არ არსებობს!

თვით ვანდერველდემ მისმა ყოველივე გაუგებრობა ამ საგანზე, როცა დეკლარაციის შემდეგ, დეპუტატ ბრიუნფოს დაამოწმებია, რომ საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა არ წარმოადგენს საბჭოთაკავშირის ცნობის წინასწარ პირობას ბელგიისათვისო.

ამ გვარად გაქრა კიდევ ერთი მენშევიკური ილუზიონაცია, შექმნილი ემიგრაციისა და საქართველოს საპროვოკაციოდ; და კიდევ ერთხელ გამოჩნდა თუ რა რეალური ფასი აქვს მეორე ინტერნაციონალის რაინდების «დახმარებას» საქართველოს პრობლემაში!

ქართველ ხალხს შეუძლია დამშვიდებით განაგრძნოს თავისი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა; საქართველოსა და რუსეთის შეკავშირება საბჭოთა ფედერაციის სახით საუკუნოებით მოქმედ საერთაშორისო ფაქტორებზე არის დამყარებული!

თუ ბელგიის, საფრანგეთის ან ინგლისის მინისტრები მაინც ამოიყოვლებენ საქართველოს სახელს,—არა იმო-

ჟიათურის კონცესიის ხელისმოწერა

შუაში ზის ჩიჩერინი, მის მარცხნივ დგას ს. მამულია (ამიერ-კავკასიის რესპ. წარმომადგენელი მოსკოვში). კუთხეში სხედან ამერიკელების რწმუნებული ელიოტი, მთარგმნელი კოტე ჯაყელი და ექსპერტი ალ. ჯაყელი

ტომ რომ სწამთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი ყოფილი მთავრობის ბედი,—არამედ იმისთვის, რომ საბჭოთა რუსეთთან ს ა ბ ო ლ ო ო პოლიტიკურ და ფინანსიურ შეთანხმებამდის დაიტოვონ ჯიბეში ნოე ჟორდანია, როგორც საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს გამოსადეგი ხურდა ფული.

ამისათვის არ იკეტება ქართული მენშევიკური ლეგაცია პარიზში და ამისათვის ისდიან ამ ლეგაციის ქირას ევროპიელი მენავთეები დავით ხნიოტლაძის ხელით.

თუ როგორია საერთაშორისო ფაქტორების ტენდენცია კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა რეჟიმის ცნობის მხრივ,—ამისათვის საკმარისია შევჩერდეთ იმ ფაქტზე, რომ ხალხთა ლიგის ჟენევის სესიამ მიიღო დრ. ნანსენის პროექტი საბჭოთა სომხეთისათვის საკოლონიზაციო სესხის მიცემის შესახებ.

ნანსენის პროექტის გარჩევის დროს ლიგის კომისიებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელთან პარიზის საელჩოში ხიმჩუ ფირუზოვთან მოლაპარაკება ამ საგანზე უწარმოებიათ თვით მენშევიკების ფრანგ და ბელგიელ მთავარ ადვოკატებს (ალბერ ტომას და დე-ბრუკერს).

და ბოლოს ხალხთა ლიგამ, რომელშიც საბჭოთა კავშირი წევრადაც არ შედის, დაადგინა, რომ ამ საბჭოთა კავშირის ერთ შემადგენელ რესპუბლიკას სომხეთს—ხალხთა ლიგის საგანგებო კომიტეტის სახით სესხი მიეცეს (სპეციალური კონტროლისა და გარანტიის საკითხი არ აღძრულა).

ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დიპლომატიური თვალსაზრისით იმ ფედერატიულ რესპუბლიკისათვის რომელშიც შედის სომხეთი და მაშასადამე მას აქვს ასეთივე მნიშვნელობა საბჭოთა საქართველოსათვისაც.

როგორც ნანსენს უთქვამს, ლიგის აქტით კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები შევიდნენ საერთაშორისო სფეროში; მათ «დიპლომატიურ» ბოიკოტზე აღარ შეიძლება მეტი ლაპარაკი.

ეს საბედისწერო ფაქტია აკაკი ჩხენკელის «საკუთარი» ფედერაციისათვის და ეს ფაქტი მით უფრო მწვავე უნდა იყოს მისთვის, რომ მას აქვს მიგნითი პოლიტიკური მხარეც; საბჭოთა სომხეთისათვის ნანსენი რომ საქმეს აკეთებდა, ევროპაში და კერძოდ ჟენევაში მყოფი სომხური ემიგრაცია თურმე ხელს არ უშლიდა თავისი სამშობლოს აღდგენის საქმეს;

ჩხენკელისა და მისი მოკავშირე ალიმარდან ბეგ ტოფჩიბაშევის ეროვნული ლოდიკით კი ხელშესაწყობია და მისაღები მხოლოდ ის, რაც დაწერილია მათი მკვდარი მთავრობის ბლანკზე.

სამწუხაროა, რომ პარიზის ქართველი ემიგრაციის დიდი ნაწილი კიდევ, თან ამ ჩხენკელურ ლოდიკას მისდევს და თან წუწუნებს, რატომ საქართველოსაც არ გამოუჩნდა თ ა ვ ი ს ი ნანსენიო!

ბატონებო! რათ გინდათ ნანსენების საქმე, თქვენ გყოფნით ვანდერველდეს ხიტყვაც.

გრიგოლ ვეშაპელი

უკანასკნელი ცნობები

16 სექტემბერს თბილისში ჩავიდნენ მარსელიდან 30 აგვისტოს გემით გამგზავრებული მუშები: ვ. ალიხანაშვილი, სხულუხია, დემეტრაშვილი, სულაქველიძე, გ. კრიჟაშვილი, ვეკუა და კალანდაძე.

იმავე დღეს ს. კ. ცეკას ბინაზე მოხდა ჩამოსულ მუშების მეგობრული შეხვედრა ადგილობრივ პარტიულ და უპარტიო მოღვაწეებთან.

ნ. მიწიშვილი თბილისში ჩავიდა. «კომუნისტში» 4 ს ხეკ. ნომ., მოთავსებულია მისი ინტერვიუ პარიზის ემიგრაციის შესახებ.

სამხიარულო

პარიზელი მენშევიკების «ბრძოლის» პირველ ნომერს რომ ვკითხულობდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა, ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, ფიშტო და «ლივერის» გრიალი და ხმალ-ხანჯლების ჰაერში ხრიალი მესმოდა. ასე მეგონა: აი, აი აგერ გამოჩნდება მთელი ლაშქარი რამიშვილის მეთაურობით, და სავსებით იერიშს მიიტანს მეთქი. მართლაც, თითქოს ყველა წერილში «ქართველო ხელი ხმალს იკარ»-ის მოტივი იყო. ბრძოლა, ბრძოლა შეუპოვარი, ბრძოლა ახლავე და... «მით გავიმარჯვებთ».

და როდესაც მეორე ნომერი გამოვიდა, გულმა და სულმა მოისვენეს. აქ უკვე მესწყდა ქუხილი და ყიჟინა; «ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი»—სებური მოტივებია ყოველ შემთხვევაში, ბრძოლა თურმე არც ისე ახლო მომავლის საქმე ყოფილა. როდესაც ნ. რამიშვილის «რუსულ კომუნიზმს» კითხულობ, რწმუნდები, რომ მოლესილი ხმალი ჯერ-ჯერობით ჰაერში არ გაიშხუილებს, და ლაშქარიც არც ისე მალე დაიძვრის ლევილის მატოდან, სადაც ის ამ ხანად დაბანაკებულია.

მართლაც, გზა ძლიერ გრძელია. ჯერ თურმე ბოლშევიკებმა აღმოსავლეთის ხალხები უნდა გამოაფხიზლონ; გამოფხიზლების შემდეგ უნდა დარაზმონ, აამხედრონ ევროპის წინააღმდეგ და როდესაც ისინი ამხედრდებიან, ამერიკა-ევროპის უღელს მოიშორებენ, განთავისუფლდებიან, შემდეგ... შემდეგ ქვესკნელიდან გამოწვეული ძალები თვით გამომწვევებს მიუბრუნდებიან და მილეწ-მოლეწავენ. ჩინეთში 425 მილიონი მცხოვრები ყოფილა; ბოლშევიკებმა ის უკვე აამოძრავეს და «ჩინეთის ამოძრავების პირველი ტალღა რუსეთის საზღვრებს დაეტაკება, პირველსავე გამოძახილს ციმბირსა და იმიერ-კასპიის მხარეში უნდა ველოდეთ»,—ამბობს რამიშვილი.

ღმერთმა გიშველოს!

სანამ ყოვლისფერი ეს მოგვარდება, მოეწყობა; სანამ ციმბირში ბრძოლა არ გათავდება, მანამ მაინც მოსვენებული ვიქნებით, და თუ შემდეგ გამარჯვებულ ჩინეთის ჯარს რამიშვილი თოხარიკით საქართველოს საზღვრებს მოაყენებს, ვერც მე და ვერც ერთი ამ სტრიქონების წამკითხველი ვერ მოვესწრებით, ვინაიდან მანამდის უფალი უთუოდ ყველას საუკუნო განსვენებას მოგვანიჭებს.

მხოლოდ, რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი «ჭკვიანი აზრები» რამიშვილებს აგვისტოს აჯანყებამდის მოსვლოდათ, «კოჭლი ვირით ჯირითში» არ გამოსულიყვნენ და ქართველი ხალხის სისხლი ასე მტარვალურად არ დაეღვარათ!

თურმე ჩინეთის იმედი ჰქონიათ და ჩოლოყაშვილებს კი ატყუებდნენ: ევროპა მოდის მოსახმარებლადო. სულ ცოტა შეცდათ: ახლო დასავლეთი შორეულ აღმოსავლეთში აურიეს.

მიუხედავად ამისა, ეს ჭკვიანი ანგარიში მაინც გამოადგება ქართველ მშრომელ ერს. ის სავსებით დაწყნარდება, შეუდგება აღმშენებლობით მუშაობას, და თუ ოდესმე ჩინეთი ამიერ-კასპიიდან მას განთავისუფლებლად მოვა, ესეც მისი ბედი იქნება. მე ვფიქრობ, საქართველო რამიშვილების ბატონობას ჩინეთის რომელიმე ჩ ი ნ უ ნ ს ი ნ ი ს ბატონობას ამჯობინებს.

ასეთი ოხუნჯობის პრეტენზია და ასეთი მხიარული კილო მეპატიება: რამიშვილის წერილის შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები.

და თუ ქართველ კომუნისტებს ჰგონიათ, რომ ხალხის ნაწილი შეიძლება კიდევ წამოეგოს «მინისტრების» ავანტიურას, მე მათ გულწრფელად ვურჩევ გაავრცელონ ნ. რამიშვილის წერილი საქართველოში და ყველაც დაწყნარდება.

აი, გიშველოს ღმერთმა!

საერთოდ, «ბრძოლის» მეორე ნომერი მხიარულ გუნებაზეა დაწერილი.

კარლოს ერთი ანეკდოტი იცის. მორაბნელს ეკითხება ჭინჭყლი კაცი: წვიმს თუ არაო. მორაბნელმა არ იცის, რა იამება შემკითხველს და უპასუხებს თვალში მიჩერებული: ქეც წვიმს და ქეც არა, ბატონო ჩემო, ისე ყონავსო.

«ბრძოლა»-ში მოთავსებული რედაქციის შენიშვნა პარიზში დ ა კ ვ რ ე ბ ი ს შესახებ უთუოდ კარლოს შედგენილი უნდა იყოს. «ცემა-ტყეპა სამწუხარო მოვლენაა», მაგრამ «ვის არ გამოიყვანს მოთმინებიდან ბოლშევიკების აგენტების აღვირწახსნილი მოქმედებაო». თურმე ნუ იტყვით და ცემა-ტყეპა ჩაუდენია «სამშობლოს სიყვარულით გატაცებულ ახალგაზრდობას». მე კი მეგონა, რომ ოხობი-ოტრიადჩიკ ვინმე ნიკიფოროვს სამშობლოს სიყვარული კი არ გააფრენდა დ ა ხ ა კ რ ა ვ ა თ, არამედ «ოხობი-ატრიადის» შეფის, ნ. რამიშვილის, ბრძანება... გოგოლი გულისწყრომით ამბობდა ხოლმე, რომ «ცხენათ გადააქციეს კ ე თ ი ლ - შ ო ბ ი ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი»-ო.

ჩვენმა «მინისტრებმა» წაბილწეს ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი!

თუ მათ დაირაზმე ცემაც, თუ მათთან ხარ,—გიყვარს სამშობლო; როგორც კი მოშორდები, სამშობლოს მოღალატე ხარ.

ხეით დევდარიანი, პეტრე გელეიშვილი. სანდრო ფარნიევი, ალფესი ხელაძე, კოწია სულაქველიძე —ყველა მოღალატეებია

12 ათასი მუშა—მოღალატეებია. ალიხანაშვილი, სულაქველიძე, დემეტრაშვილი, სხულუხია და სხვები მოღალატეებია. უკანასკნელად ჩამოთვლილი «პირები საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ფულის მიღებით გახდნენ საბჭოთა რუსეთის ხელში იარაღათ წინააღმდეგ საქართველოს ს.-დემ. პარტიისა და საქართველოს უცხო უღლისაგან განთავისუფლებისაო». და პარტია იმუქრება, «რომ ის მიიღებს უ ს ა ს ტ ი კ ე ს ზ ო მ ე ბ ს (კურსივი ჩემია: ი. კ.) იმ ამხანაგთა წინააღმდეგ, რომელთაც ექნებათ პირდაპირი კავშირი საოკუპაციო ძალაუფლებასთან და მის აგენტებთან».

ადვილი გამოსაცნობია, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ «უ ს ა ს ტ ი კ ე ს ზ ო მ ე ბ შ ი».

პარიზის მენშევიკები ქვეყანას აყრუებენ ყვირილით, რომ ბოლშევიკები ტერორით მოქმედებენო. თვითონ კი?

მართლაც რომ განწირული უნდა იყოს ადამიანი, რომ ასე იაზროვნოს. ამისი ნიმუშები ჩვენ ბევრი ვნახეთ, მაგრამ არ შემიძლია არ შევჩერდე იმავე «ბრძოლა»-ში მოთავსებულ აზროვნების მარგალიტებზე.

ყველას კარგად ახსოვს, როგორ ემუდარებოდნენ მენშევიკები, გამოქცევის პირველ წლებში, ევროპის პროლეტარიატს: ერთი ჩადით საქართველოში, ნახეთ თქვენის თვალით, როგორ ანადგურებენ იმ სამოთხეს ბოლშევიკები, თქვენის ყურით მოუსმინეთ საქართველოს, და ნანახული და მოსმენილი ამცნეთ ყველასო.

და აი, დაიძრა ევროპის პროლეტარიატი; მივიდა, ნახა და მოუსმინა, მივიდნენ არა კომუნისტები, არამედ სოციალ-დემოკრატები და უპარტიოები. ნახეს და მოუსმინეს და ყველას ამცნეს, რომ საქართველოში გაჩაღებულია აღმშენებლობითი მუშაობა, რომ ხალხი კმაყოფილია, რომ თუ აქედან და იქედან ა რ უ ჩ უ ჩ ხ უ ნ ე ს, მართლაც აყვავდება საქართველო. იყო არა ერთი დელე-

კალინინი და სერგო ორჯონიკიძე

ქართული წითელი ჯარის აღლუმზე თბილისში (საბჭოთა კავშირის მესამე ცაკის სესიის დროს).

მენშევიზმი და ბოლშევიზმი

(რევოლუციიდან აჯანყებამდე)

1903 წ. ჩვენ (მენშევიკების) და ბოლშევიკების შორის შინაური ბრძოლა იწყება. სოც.-დემ. პარტია იყოფა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად, ფრაქციებათ—მენშევიზმათ და ბოლშევიზმათ—ბოლშევიზმს მეთაურობს ლენინი, მენშევიზმს მარტოვი. (მეორე სიეზდზე, სადაც ჩვენი პარტია ორ ფრაქციათ გაიყო საორგანიზაციო საკითხებში, გიორგი პლეხანოვი ლენინს მიემხრო, ერთი თვე არ განვლო და მარტოვისაკენ გადავიდა).

1917 წ. რევოლუციის პირველ თვეებში ჩვენ ე. ი. მენშევიკები, ესერები და საერთოდ ჩვენი მოდგმის სოციალისტები, გაბატონებული პარტიები ვართ მთელ რუსეთში. მუშათა—სალდათთა და გლეხთა საბჭოებში მენშევიზმის და ესერიზმის პოლიტიკურ გეგმიანს სცნობენ და ემორჩილებიან. რუსეთის დროებითი მთავრობა ესერული და მენშევიკურია. ბოლშევიკებს ამ დროს შედარებით ჩვენთან ნაკლები აქვთ მუშათა მასაში გავლენა.

და აი, იწყება ბრძოლა ჩვენს და ბოლშევიკების შორის. ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლო. და ბოლოს ამ ბრძოლაში ბოლშევიკები იმარჯვებენ. როგორი იყო ძალთა განწყობილება ბრძოლის დასაწყისში? ესერები და ესდეკები ერთათ. მუშათა და ჯარისკაცების მასსები ჩვენ მხარეზე. სახელმწიფო აპარატი ჩვენს ხელში, დროებითი მთავრობის სახით.—ბოლშევიკები ყველა ამას მოკლებულნი—და იზოლიაციის ქვეშ დაყენებულნი მასაში. სწორეთ ამ დროს შეგვებრძოლა ჩვენ ბოლშევიკები. დაიწყო ჭიდილი. ბოლშევიზმი—ლენინიზმი ამარცხებს მენშევიზმს, ესერიზმს, ჩხეიძე წერეთელს და გოცს—ეს ხდება პეტროგრადის მუშათა საბჭოში. შემდეგ ისინი ხელში იგდებენ მოსკოვის საბჭოს და სხვა პოლიტიკურ ცენტრებს... ამნაირათ ბოლშევიკებმა ი დ ე უ რ ა თ დაიპყრეს ჯერ პეტროგრადი, შემდეგ მოსკოვი და ამ გზით მთელი მუშათა დემოკრატია მათ გეგმიანს დაუმორჩილდა. მოიმხრეს რა მუშები და გლეხები (სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილი ჯარის კაცები,—ეს ხომ უმთავრესათ გლეხები იყვნენ) ახდენენ აჯანყებას, ძირს აგდებენ დროებით მთავრობას და სახელმწიფო აპარატს ხელში იგდებენ. ამ რევოლიუციური აქტის შემდეგ, ისინი გაბატონდენ და სხვა პარტიები, სოციალისტებიც კი, არა ლეგალური გახდენ. გამოცხადდა დიკტატურა მუშათა კლასის და ამ დიკტატურის სისტემაზე მოეწყო მთელი სახელმწიფოს აპარატი. აფრიალდა წითელი დროშა და დაიწყო ნაციონალიზაცია და სოციალიზაცია კერძო საკუთრებათა.

ამ დროს ჩვენ ე. ი. სოც.-დემ., ესერები, დაშნაკები, ესფერები (ბურჟუაზიულ პარტიებზე აქ არ ვლაპარაკობ) და საერთოდ ყველა ის, ვინც არ ვიზიარებდით დ ი კ ტ ა ტ უ რ ი ს მ ე თ ო დ ს და მ ი ვ დ ი ო დ ი თ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გ ზ ი თ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ, ამიერ კავკასიას ვამაგრებდით.

მე ვლაპარაკობ ამიერ კავკასიაზე იმიტომ რომ, ჩვენი პოლიტიკა ამ ასპარეზით—ამ მასშტაბით განისზღვრებოდა. აქ შევაყენეთ ჩვენი მთავრობა და რუსეთის საბჭოთა მთავრობა აღარ ვიცანით. ამიერ კავკასიის მთავრობა და მისი გამგეობა უდღეური გამოდგა. ის სამი ერი, რომელიც უმთავრესად მოსახლეობს ამიერ კავკასიის მიწა წყალზე (ქართველები, სომხები და აზერბეიჯანელები) სხვადა სხვა ორიენტაციის მატარებელნი გამოდგენ და როდესაც ამიერ კავკასიას გარეთ საერთო ფრონტი დასჭირდა—ეს ხელოვნური შენობა დანგრეული აღმოჩნდა.

ამიერ კავკასიის დაშლით იწყება ნაციონალური სახელმწიფოების ორგანიზაცია. ეს სამი უმთავრესი ერი თავიანთ სახელმწიფოს ქმნის: საქართველოში ჩვენ, მენშევიკები, ვმართველობთ. სომხეთში სოციალისტური დაშნაკები; აზერბეიჯანში კი დემოკრატიული მუსავატი.

როგორი იყო დამოკიდებულება ნაციონალური სახელმწიფოებისა ამიერ კავკასიაში? აი კითხვა, რომელზედაც ჩვენ შევჩერდებით. დავამყარეთ თუ არა ჩვენ, ნაციათა სოლიდარობა, მშვიდობიანობა? საუბედუროდ ვერც ერთი და ვერც მეორე. ვის არ ახსოვს ქართველების და სომხების შორის ომი. ჩვენ ყველანი ამის მონაწილე და მოწმეები ვიყავით. გარდა იმ დროს უბედური მომენტისა, ისტორიულად ეს ორი ძველი კულტურული ერი ბინადრობდა რა მეზობლათ, ერთმანეთს თუ ებრძოდა, თორემ ერთი ერთ შორის სისხლის ღვრა არავის არ ახსოვს, (სომხები და ქართველები ძველად ხანდახან სხვა და სხვა კოალიციაში იყვნენ, მაგრამ პირდაპირ ერთმანეთში არ უომიათ)...

აქვე უნდა დავასახელოთ აზერბეიჯანი მუსავატის დროს. ჩვენ და ისინი (მუსავატი) შეთანხმებული ვიყავით თუ არა საზღვრების საკითხში? რასაკვირველია არა! არა თუ შეთანხმებული,—არამედ მუსავატი ფარულ ომს აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ, ის ეცდებოდა ბორჩალოს მაზრას და იქ მუდამ მკვიდრთა კონფლიკტებს და აჯანყებასაც კი ვეწყობდა. ახალციხე ახლქალაქსაც თავისათ სთვლიდა ის და ამიტომ იყო ოსმალეთი და აზერბეიჯანი ფარულად, მაგრამ გატაცებული ენერგიით რომ აწყობდენ იქ ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლებს. მოიგონეთ აჭარის მიდამოებში ჩვენი და მათი სისხლიანი შეტაკებები. რატომ ვერ ავცდით ჩვენ ამ სისხლის ღვრას და ომებს? რატომ სხვა გზით ვერ მოვაწესრიგეთ მეზობლებთან მშვიდობიანი განწყობილება?

მეორე მხრივ, თვით საქართველოს შიგნით, ჩვენს სახელმწიფოს ტერიტორიაზე რატომ ვერ დავაკმაყოფილეთ ეროვნული უმცირესობანი? სომხობა, ოსები და სხვა! აი ეს კითხვები ისმის. თავისთავად, როგორ იყო ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა? უნდა გამოვტყდეთ და ვსთქვათ, რომ ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა იყო ნაციონალ-დემოკრატიული და არა სოციალისტურ—პროლეტარული. ჩვენ უნდა სოციალისტური ნაციონალური პოლიტიკა გვეწარმოებია, ბამბაკის მთაზე ისტორიული საზღვრები არ გვეძებნა—შეგვეგნო ის, რომ რეალური მდგომარეობა საქართველოში დღეს სულ სხვაა, ვიდრე მისი ისტორიული პრეტენზიები—გამომდინარე მისი «ოქროს» ხანის ეპოქიდან».—დიახ ჩვენ, არ უნდა დაგვავიწყებოდა ეს რეალობა. არ უნდა დაგვვიწყებოდა ეს ნოესაც, რომელმაც თავის დროზე ნაციონალისტების საწინააღმდეგოთ ააშენა სოციალ-დემოკრატიული ნაციონალური პროგრამა, რომლითაც მას უნდოდა გამოეცხადა საქართველოს მუშათა კლასის სურვილები. და აი ვამბობ, ნოემაც და ჩვენც დავივიწყეთ მის მიერ შემუშავებული და ჩვენ მიერ მოწონებული სოციალისტური პროგრამა ნაციონალურ კითხვის გადაჭრისა და მის ადგილზე წამოვაყენეთ წმინდა ბურჟუაზიული—ნაციონალური პროგრამა. აი ამაში უნდა ვეძიოთ ჩვენი დამარცხება ამ საკითხში, აი ამიტომ ვერ დავამყარეთ ჩვენ სოლიდარობა და მშვიდობიანობა, როგორც მეზობელ ერებთან, ისე ჩვენ სახელმწიფოს ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობასთან. მაგრამ, კითხვა ისმება, რისთვის უარვყავით ძველი ნაციონალური პროგრამა და წამოვაყენეთ ახალი? რამ დაგვჭირდა ასეთი ცვლილების გაკეთება? მართველობა ხომ ჩვენს ხელში იყო და ნუ თუ არ შეგვეძლო ისე გადაგვეჭრა ეს საკითხი, როგორც ამას ჩვენი პროგრამა მოითხოვდა? მმართველები, რასაკვირველია, ჩვენ ვიყავით, მაგრამ ვმართავდით რა ქვეყანას ბურჟუაზიულ და ჩვენი ტიპის სოციალისტურ პარტიებთან ფაქტიურ კოალიციაში, ჩვენ საერთო ნაციონალურ ფრონტის გასამაგრებლათ—სავსებით ვითქვიფებოდით მათ ნაციონალისტურ მიმართულებაში და ვივიწყებდით ჩვენსას,—ე. ი. ვითქვიფებოდით ბურჟუაზიის ნაციონალიზმში და ვატარებდით მის ხაზს პოლიტიკაში.

ამ დროს რა ხდებოდა ჩვენ გარეშე?

რას შვებოდა ჩვენ მიერ ათვალწუნებული, ხან მოკლებული და უდღეურათ გამოცხადებული კომუნისტური პარტია და საბჭოთა რუსეთის მთავრობა?

ეს მთავრობა თან და თან მაგრდება. მან სამოქალაქო ომში სასტიკათ დაამარცხა კონტრრევოლიუციური ძალები. ლიკვიდაცია მოახდინა კოლჩაკის, დენიკინის და ბოლოს ვრანგელის კონტრრევოლიუცია სამარცხვინოთ დაამარცხა და შავ ზღვას უძღვნა საჩუქრათ. კომუნისტების გავლენა თან თან ვრცელდებოდა, მისი ასპარეზი იზრდება, საბჭოების სახელმწიფო ტერიტორია ფართოვდება. და ამ ნაირათ ამიერ კავკასიამიც მოგვიკაკუნეს.

აზერბეიჯანში წითლები უბრძოლველათ შემოდიან, იქ მთავრობა მათ არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს და წითლები უმტკივნეულოთ ბატონდებიან. გაბატონდენ რა აზერბეიჯანში, სომხეთზე მიდგა გასაბჭოების რიგი. სომხეთი ერთხანს ყოყმანობს, ცოტა შეტაკებაც ხდება თითქმის, და ბოლოს ისიც საბჭოვდება. ამრიგათ დავრჩით ჩვენ დაპირდაპირებული საბჭოთა რგოლთან.

თურმე ამ დროს, როცა ჩვენ საბჭოების რკალით ვიყავით შემორტყმული, ევროპაში ჩვენი საქმე უკვე წამხდარი იყო. ჩვენი დელეგატები (და ისინი ხომ მრავალი იყვნენ) ევროპაში ვერაფერს ვერ აკეთებენ. კ. ჩხეიძე არ ურიგდება სან რემოში სომხებს ყარსისკენ გზის მიცემის

გავია, არამედ ბევრი, ძლიერ ბევრი და სუყველანი ერთ და იმავეს ამბობს.

რას უპასუხებენ ამაზე მენშევიკები? ყველა მოსყიდულია, ყველა გაბრიყვებულია, ყველა ცრუა.

მაგალითად: «ინგლისში არის ერთი სოციალისტური პარტია—სოც.-დემოკრატიული და დამოუკიდებელი მუშათა პარტია, მათი რიცხვი არ აღემატება ორას ათასს და მეორე მუშათა პარტიაში, დანარჩენი მილიონი წევრები ამ პარტიისა წარმოადგენენ ტრედ-უნიონების, პროფესიონალურ კავშირების, თავის საკუთარ იდეოლოგიით და მისწრაფებით, ესენი არ სცნობენ მარქსიზმს, სოლო სოციალიზმზე გვარიანი ფანტასტიური წარმოდგენა აქვთ' პირველ ყოვლისა ისინი უარს ყოფენ კლასთა ბრძოლის თეორიას».

« აი ამ ანტიმარქსისტულ მუშათა ჯგუფებში (იქ 4½ მილიონი წევრია. ი. კ.)—გააბეს კავშირი ბოლშევიკებმა. გამონახეს ყველაზე უფრო დაბნეულნი და ამათგან აარჩიეს დელეგაციები».

«როგორც ხედავთ, ამ ვაჟბატონთ და ქალბატონთ სოციალიზმის არაფერი არ სცხიათ, მარქსისტული წარმოდგენა მათვის უცნობი ხილია, პოლიტიკური სტაჟი პრიმიტიული აქვთ».

მგონი, კმარა, არა?

მკითხველი, ვფიქრობ არ დამენდურება, ამ ამონაწერის ახსნა-განმარტება რომ არ გავაკეთო: საინტერესოა მხოლოდ, მართლა რომელი ვაჟბატონის ბრიყვმა ხელმა დასწერა ამდენი აბდა-უბდა, არა, კომუნისტებმა უთუოდ უნდა გაავრცელონ «ბრძოლა» საქართველოში,—უკომენტაროთ:*) მასშია მათი დასაკლავი გალესილი დანა, თუ კი დაკლულს განელმეორებით დაკვლა ესაჭიროება.

ივ. კაჩუხაშვილი

*) მართალს ამბობთ, ამხ. კახუხაშვილო!..—მენშევიკების აზრის არევ-დარევაზე არ არის საჭირო კომენტარიები ჩვენი მუშებისათვის, მაგრამ გაკვრით მაინც საჭიროა ცოტა რამეს თქმა; პირველი «ბრძოლა» რომელითაც ეხლა მენშევიკები ამაყობენ, არასოდეს არ ყოფილა მათი ორგანო. საზელი «ბრძოლა» პლაგიატათ უნდა აღიაროთ. მეორე «ბრძოლა» იმით ეტყობა მენშევიკების არ არის, რომ თვით ბრძოლის ძველი ლოზუნგი პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ა , შ ე ე რ თ დ ი თ ! რამიშვილ—ჟორდანიას თავისი ჟურნალიდან მოუხსნიათ, ეს ნიშნავს ჩვენებურათ—მარქსიზმზე ჯვარის დასმას!..

ამაში, მეგობარო არაფერი არაა გასაკვირი, ასევე დაიწყო პეტრე სტრუვემაც, მარქსის პირველი ტომის «კაპიტალის» მთარგმნელმა 30 წლის წინეთ. მარქსიზმის თეორიიდან ჩამოყალიბდა მონარხიზმამდე! ასე ჩამოყალიბდება ნოეც! ასეთივე ტრაღედიას განიცდიან წერეთელი—რამიშვილი და ძმანი მათნი... მებრალებით!..—ა ს ო თ - ა მ წ ყ ო ბ ი .

ქართული პრესა

"ჩვენ ვაფრთხილებთ"

ამ სათაურით «კომუნისტი» 9 სეკტემბერს სწერს შემდეგს პარიზის ხულიგანური აქტის შესახებ.

«ჩვენს განკარგულებაშია უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში დაბრუნების მსურველები არ განისაზღვრებიან მარტო ამ მუშებით, პარტიის ყოფილი წევრებით; ასეთები მრავალი არიან როგორც თვით მენშევიკურ ორგანიზაციაში, ისე დანარჩენ ქართულ კოლონიაში, მაგრამ რამიშვილ-ჟორდანიას მიერ შექმნილი ტერორის ატმოსფერა, რომელსაც ერთი მათი დაბეჯითება საკმაო, რომ ყოველი ქართველი მოქალაქე მოეძიეს საფრანგეთის პოლიციისათვის «არა სასურველთა» (" indésirables") ე. ი. ბოლშევიკთა სიაში და შეიქნეს რამიშვილის მაუზერისტების ძალადობის მსხვერპლი—ეს ატმოსფერა ტერორისა აიძულებს ბევრს ჯერ-ჯერობით გულში ატაროს სურვილი პარტიიდან გამოსვლისა და სამშობლოში დაბრუნების.

მაგრამ ეს ზომები, რამიშვილის «მთავრობის» მფარველი ანგელოზები საფრანგეთის «ოხრანკიდან» და მისი მაუზერისტები ვერ შეაჩერებენ კაპიტალის ძალების დაქსაქსვას და საბოლოო განადგურებას ქართველი მენშევიკების ახალ ფრანგულ სამეფოს წყალ-მომდგარ კუნძულზე. ჩვენი მხრივ ჩვენ შევქმნით საშუალებას გავუადვილოთ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს, რომელნიც ისურვებენ სამშობლოში დაბრუნებას, სისრულეში მოიყვანონ თავიანთი სურვილი და ამასთან ერთათ ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ა თ , რომ ჟორდანია-რამიშვილის ბანდის ყოველ ახალ ხულიგანურ გამოსვლას საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ უცხოეთში ჩვენ ვუპასუხებთ ს ა ს ტ ი კ ი გამანადგურებელი ზომებით მენშევიკების წინააღმდეგ საქართველოში, რომელნიც ჩვენი წესრიგის დამცველი ორგანოების «ზედამხედველობის» «სფეროში» იმყოფებიან «გარეთ» ან უკვე ჩაკეტილი არიან ჩეკას კლიტულებში».

კლემენტი ქეიშვილის განცხადებიდან

გაზეთ «კომუნისტში» 9 სეკტემბერს მოთავსებულია მენშევიკური არალეგალური ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგის (აჯანყების შემდეგ) ქეიშვილის წერილი, რომლიდანაც მოგვყავს შემდეგი დამახასიათებელი ადგილი (ნ. ჟორდანიას პოლიტიკური ოცნებების შესახებ):

«საგარეო კონფლიკტზე აშენებული «პერსპექტივა» ასე უნდა გავიგოთ. დაიწყება ომი საბჭ. კავ. და იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხრის (სცენაზე ოფიციალურად ვინ გამოვა არ აქვს მნიშვნელობა), პირველი დამარცხდება და საქართველო კვლავ გამოაცხადებს თავს დამოუკიდებლად. უფრო სადაღო რომ ვსთქვათ, ეს ასეთი ზღაპარია:—ვინ-

ქართული ჯარის აღლუმი

თბილისში მესამე საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის დროს·

მეს რამეზე ემდავებოდე... ვერ მოუგო და ბოლოს იმედი იმაზე დაამყარო, რომ მას ბევრი მტერი ჰყავს... ვინმე მოკლავს, და რადგან მემკვიდრე არავინ დარჩა, დავა თავის თავად, ჩემ სასარგებლოდ გადაწყდებაო. თუ ასეთი «პერსპექტივა» გვქონდა, ვერ გამიგია, რადა საჭიროა იყო ამდენი მსხვერპლის გზება და მდელის და დავიდარაბის ატეხა? საბჭოთა ხელისუფლება იმდენს რას დააკლებდა საქართველოს, რამდენი ზარალიც ჩვენ მივეცით თავს 4 ნახ. წლის განმავლობაში წარმოებულ ბრძოლითა და ხელის შემლით».

კოწია სულაქველიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ნოე რამიშვილს ცუდი დრო უდგება. მის მიერ საქართველოში საგანგებოდ მივლინებულ ი ემისარებიც ვეღარ ითმენენ რეალურ სინამდვილისა და ჟორდანია რამიშვილის პოლიტიკის წინაამდეგობას და საბჭოთა საქართველოზე სიმართლეს ამბობენ

კოწია სულაქველიძე გამგზავრებულა საქართველოში პარიზის ს. დ. ბიუროს დადგენილებით ამა წლის 15 მარტს იგი დაუტუსაღებიათ 7 ივნისს. 7 სეკტემბერს «კომუნისტში» დაბეჭდილია მისი განცხადება, რომლიდანაც მოგვყავს ყველაზე უფრო დამახასიათებელი აზრები,

ამ ქამათ კოწია სულაქველიძე (ნ. ქარცივაძესთან ერთად, საპყრობილიდან განთავისუფლებულია.

საკითხი... მეორე დელეგატი კ. წერეთელი აცხადებს: «საქართველოს დემოკრატია არ მიიღებს სომხეთის დელეგაციის წინადადებას გზის მიცემის შესახებო». დამნაკური დელეგაცია რასაკვირველია დაჟინებით თავისას მოითხოვს. თურმე მეორე ინტერნაციონალის წევრებიც ერევიან ამ დავაში და დელეგატთა მორიგებას ცდილობენ, მაგრამ ამაოთ. კარლო თუ პატრიოტია, დაშნაკი ხომ არხიპატრიოტია! ვერ მიურიგდით რა ჩვენ მეზობელს—ჩვენში, ამიერ-კავკასიაში—ევროპამიც მოურიგებელი დავრჩით. დაინახეს რა ასეთი ჩვენი მოურიგებლობა, ევროპის მმართველმა წრეებმა, გამოგვემშვიდობენ და გვითხრეს—«თქვენ ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ, ომები და კონფლიკტები თქვენში ხშირია და ასეთ პირობებში თქვენთან კავშირი არ არის ჩვენთვის ხელსაყრელიო»... აი ასე გათავდა ჩვენი «დიპლომატიური მუშაობა» ევროპაში (ეს ამბავი მოყოლილი აქვს პროფ. ზ. ავალიშვილს თავის წიგნში) «დეფაქტო და დე იურეთ» გვიცნეს, მაგრამ, ეს თურმე დიდ არაფერს ავალებდა ევროპიელებს. ასეთი უნაყოფო ხეირობა ჩვენი დელეგაციისა მხოლოდ ვიწრო წრეში იცოდა საქართველოში, მაგრამ ჩვენ, საქართველოს პროფესიონალური კავშირის ხელმძღვანელებმა ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდით. პირიქით საერთო აზრი ისეთი იყო (ამას ავრცელებდა თვითონ მთავრობა) რომ ევროპაში ჩვენი საქმე წინ მიდის, იჩარხება, ჩვენი დელეგაციები ბრწყინვალეთ იმარჯვებენო. ეს თურმე მტკნარი სიცრუე იყო და ერთნაირი ილიუზიების შესაქმნელათ გამოგონილი და როგორც ყოველნაირი ილიუზია ძლიერ მავნებელიც. გავაკეთეთ რა ორიენტაცია ევროპაზე, ჩვენ სრულებით არ გაუწიეთ ანგარიში იმ ფაქტს, რომ თვით ევროპას სურდა თუ არა გაეკეთებია ორიენტაცია ჩვენზე!..

ეხლა ვიკითხოთ ამას შემდეგ, მაინც ვცადეთ და მოვინდომეთ თუ არა გამოგვეკეთებია საქმე რუსეთთან? ხომ ნათლად იცვლება რომ რუსეთის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება არც ცუდეური და არც განწირული იყვნენ? აი აქ უნდა შევჩერდეთ. მოლაპარაკება თითქოს ვცადეთ; გრ. ურატაძე იგზავნება მოსკოვს; ზავი და ურთიერთ-მორის ცნობა გრ. ურატაძის მოლაპარაკების შემდეგ მივიღეთ, ფორმალურათ თითქოს ყოველივე მოწესრიგდა—ამოიწურა: ზავიც გვაქვს და ცნობაც. ფაქტიურათ უკვე ვგრძნობდით, რომ ეს ზავი და ცნობა ვერ გადასწყვეტდა და ვერ ამოსწურავდა ჩვენ და რუსეთის საკითხს. რუსეთს ქონდა ჩვენში, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური ინტერესები, რომელიც უნდა მოწესრიგებულიყო. (ეს არა იმიტომ, რომ ის იმპერიალისტურია დღეს, არამედ იმიტომ რომ—პირველ ყოვლისა სახელმწიფოა და როგორც ასეთი, საერთაშორისო სფეროში იცავს თავის ინტერესებს, მით უმეტეს რომ ამ სფეროში მას, რუსეთს აქვს საქმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან) ამას კარგად გრძნობდა ნ. ჟორდანია და ამიტომაც იყო რომ ერთ ვიწრო, მაგრამ ფრიად პასუხისმგებელ წრეში მან აშკარად სთქვა: «ეს ზავი არც ჩვენ დაგვაკმაყოფილებს და არც რუსეთსო, უნდა გამოინახოს სხვა გზებიო». ამ მინაურათ ნათქვამმა სიტყვამ, რასაკვირველია, «შინაურთა აჯანყება» გამოიწვია, უკეთ რომ ვსქვათ, იქ მყოფი მი-

ნისტრები აეჯანყნენ ნოეს,—«ზავით, რა გზებზე ლაპარაკობო»... და ნოემ საუბედუროთ აღარ შეასწა ხორცი თავის აზრს... კი მაგრამ იბადება კითხვა, გამოვიდოდა რამე საბჭოებთან მოლაპარაკებით, ნამდვილი ზავის ნიადაგზე ბოლშევიკები წამოვიდოდნენ შეთანხმებაზე? აშკარაა, რომ წამოვიდოდნენ და მერმინდელი ფაქტები ამას სავსებით ადასტურებს. უთუოდ ორი კითხვა დადგებოდა ჩვენ და მათ მორის 1) ეკონომიური და 2) პოლიტიკური. პირველ სფეროში ჩვენი შეთანხმება სრულებით ადვილი იყო. ეს შეთანხმება შეეხებოდა გზის სარგებლობას—ტრანზიტს. რაც შეეხება პოლიტიკურ სფეროს, აქ შეთანხმება უფრო ძნელი იყო, მაგრამ გამჭრიახი პოლიტიკა აქაც მონახავდა შეთანხმების ნიადაგს. ამ სფეროში ისინი (ბოლშევიკები) მოგვთხოვდნენ უმთავრესად, ევროპის ორიენტაციის უარისყოფას ე. ი. ანტანტასთან კავშირის გაწყვეტას და შემდეგ ზოგიერთ კონსტიტუციონალურ ცვლილებებს—არა საბჭოთა სისტემის გატარებას არამედ, ასე ვსთქვათ საშვალოს—დემოკრატიულ და საბჭოების მორის, დაახლოვებით იმ ტიპის კონსტიტუციონალურ მართველობას, როგორც იყო თუგინდ ციმბირის მხარეს «საზალხო რესპუბლიკა». ასეთი ცვლილების შემდეგ, ალბათ, ქართველი კომუნისტებიც შემოვიდოდნენ კოალიციურ მთავრობაში და ამ რიგათ საქმე გაჩარხდებოდა.

მაგრამ განა ვინმემ სცადა ამ გზით მუშაობა?... თუ ევროპაში, სადაც დელეგაცია დელეგაციას მისდევდა, არაფერი კეთდებოდა და ტყუილა უბრალოთ ამოდენა ხალხის ქონება იფლანგებოდა,—რატომ ასეთი დელეგაციები არ წარვგზავნეთ რუსეთში? რატომ არ ვსცადეთ ეს გზა?! ჩვენ ხომ ვიყავით იმის მოწამე, რომ ქართველი კომუნისტები ძლიერ დიდ აქტივობას იჩენდნენ, აჯანყებას აჯანყებაზე გვიწყობდენ და ასეთ პირობებში უნდა გვცოდნოდა, რომ საბჭოთა რკალი ხელ ადვილათ შესძლებდა ჩვენ შემოქალტვას და დამარცხებას. და ასეც მოხდა. ჩვენი ქვეყანა გასაბჭოვდა. ბრძოლაში ჩვენ დავმარცხდით.

***

უკანასკნელი ჩვენი ბაზა,—ბათუმი ყოველ საათში მოელის წითელ ლაშქრებს. ამ დროს თბილისიდან ჩამოდის დელეგაცია თედო ღლონტის და გერონტი ქიქოძის სახით, იმლევიან წინადადებას მოლაპარაკებაზე—აშკარაა რომ გამარჯვებული მხარე კიდევ მოლაპარაკებაზე მიდის. ამ დროს თბილისის გაზეთებში ლენინის პირველი წერილიც გამოქვეყნდა, სადაც ურჩევს ის თავის ამხანაგებს საქართველოში, რომ რუსეთის სამხედრო კომუნიზმის ისტორია და პრაქტიკა არა გაიმეორონ—გლეხურ და წვრილ ბურჟუაზიულ საქართველოში გაუწიონ ანგარიში ამ ფაქტორებს,—ნაციონალისტურ ინტელიგენციას შეძლების და გვარათ ლოიალურათ მოეპყრან—და რაც უმთავრესია, გამოინახოს საერთო ენა და დათმობაზე წავიდნენ ნოე ჟორდანიასთან და მის ჯგუფთან... რას ნიშნავდა ეს თუ არა შეთანხმების უტყუარ სურვილს. ჟორდანია ხომ პარტიის მეთაური იყო და მასთან შეთანხმება ხომ—პარტიასთან შეთანხმებას უდრიდა?

შეთანხმება რომ სურდათ, ამას ადასტურებს მამია ორახელაშვილის განცხადება ლენინის დირექტივების შესახებ თბილისის საბჭოების კრებაზე. როგორ შევხვდით ჩვენ ამ წინადადებებს—რასაკვირველია, ჩვენ უარვყავით! რა უპასუხეთ მათ,—« ო მ ი გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა ო ! » მე ვიცი, მეტყვიან, ბოლშევიკები მოგვატყუებდნენ, მთავრობას და ლიდერებს დაატყვევებდნენ და ევროპაში ვინ მიიტანდა ამბავს საქართველოს დაღუპვის შესახებო, ევროპაში მუშაობა ჩაიფუშებოდაო. ეს აზრი გავრცელებული აზრია დღეს სოც.-დემ. ემიგრაციის წრეებში, მაგრამ სწორედ ამაშია ჩვენი სისუსტე და სიბეცე. ერთი რომ, ჩვენი საქმე უკვე დიდიხნის წამხდარი ყოფილა ევროპაში—უკვე სანამ ჩვენ დავმარცხდებოდით (ისილეთ პროფ. ავალიშვილის წიგნი, ის ხომ ჩვენი ექსპერტი იყო და მას ნათლად აქვს მოთხრობილი მთელი ჩვენი დელეგაციის მოღვაწეობა ევროპიული პროტექტორატის ძებნაში).

ამას გარდა, თვით კომუნისტები სრულიად აღარ მალავდენ, რომ მათ საქართველო ბრძოლით გაასაბჭოვეს. გაიხსენეთ რადეკის განცხადება წერეთლის საპასუხოთ მ. წ. ცნრათა კომისიაში—(ინტერნაციონალების მოლაპარაკების დროს საერთო ფრონტის შესახებ). მაგრამ, რაც უმთავრესია და რაც ჩვენ ვერ შევიგნეთ, საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ბელადი ლენინი დირექტივებს აძლევდა თავის ამხანაგებს არა ჩვენ მოსატყუებლად არამედ რ ე ა ლ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა თ ვ ი ს ! ბოლშევიკები, როგორც პოლიტიკის ძლიერ კარგად მცოდნე პარტია,—სრულიად შეგნებულად და წინდაწინ შემუშავებული აზრით მოდიოდენ მოსალაპარაკებლათ. მათ კარგათ იცოდენ, რომ მიუხედავათ ჩვენი დამარცხებისა, ჩვენ ძლიერი და მასიური პარტია ვიყავით იმ ქამათ. მათ აიღეს საქართველოში არა სამხედრო კომუნიზმის კურსი, არამედ გაცილებით ლოიალური, შეგუებული საქართველოს სინამდვილესთან (გლეხური ქვეყანა—წვრილი ვაჭრობა—მრეწველობა—ნაციონალისტური ინტელიგენცია და ფაქტი სოც.-დემ. პარტიის მასიური გავლენისა). და ამიტომ მათ არ უნდოდათ რომ საქართველო, გამხდარიყო ობიექტი ისეთი მტკივნეული პროცესის, როგორც ეს რუსეთში მოხდა, მათ \არ უნდოდათ საქართველოში მომხდარიყო სამოქალაქო ომი. ისინი მოდიოდენ ერთნაირ დათმობაზე... და აი ამ პარტიას ჩვენ უპასუხეთ, «შენდექით!—თქვენთან რა გვაქვს საერთო—ომი გრძელდებაო»!.. და გამოვცურეთ ევროპისკენ, ისე რომ უკანაც არ მოგვიხედია, მაგრამ ვისი იმედით, რას მოველოდით ჩვენ დასავლეთ ბურჟუაზიულ ევროპიდან? როცა მკვახეთ ლაპარაკობ—ძალა უნდა გქონდეს, თორემ ნაცარქექიობით და სიტყვების რახუნით პოლიტიკა აბა ვის შეუქნია? ჩვენს ევროპაში მოსეირნე დელეგატებს უნდა სცოდნოდათ, რომ ევროპის მმართველი წრეები ჩვენთვის რუსეთთან კონფლიკტზე არ წავიდოდენ. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ლოიდ-ჯორჯი—კრასინს აშკარათ ეუბნებოდა—«ამიერ-კავკასიაში რუსეთის გავლენის წინააღმდეგ ინგლისს საწინააღმდეგო არაფერი აქვსო». რას ნიშნავს ეს დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი ს ი ტ ყ ვ ა გ ა ვ ლ ე ნ ა ეს უნდა სცოდნოდა ჩვენ «პოლიტიკოსებს», ან და შეიძლება ევრო-

ეროვნულ კითხვაზე

«ქვეყნის ეროვნული ინტერესები დაცულია, ისე როგორც არასოდეს. ყველა სკოლებში გატარებულია ნაციონალიზაცია და სწავლა როგორც დაბალ, ისე საშუალო უმაღლეს სასწავლებლებში სწარმოებს ქართულ ენაზე. ეროვნულ უმცირესობათა (რუსების, სომხების სკოლებშიაც) კი სახელმწიფოებრივ ქართული ენის სწავლა სავალდებულოა. სახელმწიფო და კერძო გამომცემლობანი უშვებენ მრავალ წიგნებს და ამ დღეებში გამოცხადებულია ხელისმოწერა ბროკჰაუზ-ეფრონის ტიპის ქართულ ენციკლოპედიურ სიტყვარზე, ასეთი რამ დღემდის საქართველოს არც კი დასიზმრებია, გამოცემულია როგორც ჩვენი კლასიკოსები, ისე სხვადასხვა დარგის წიგნები».

დამოუკიდებლობის საკითხი

«ეხლა ხომ ყოველ ჩვენგანს კარგად ესმის—ამაში დაგვარწმუნა ჩვენ ჩვენი სახელმწიფოს ხანმოკლე არსებობამ—რომ პატარა სახელმწიფოს, რომელიც მდებარეობს დიდ გზაზე ცენტრალურ აზიისა და სპარსეთისაკენ, და მდიდრეს ნავთის წყაროებისაკენ, არასოდეს არ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი. და არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი ფარველობის შესახებ».

ჟორდანიას «მთავრობა»

«სასაცილოთ გვეჩვენება მთელი ეს «მთავრობის» თამაში, რაღაც დიპლომატიური მოლაპარაკება ყველასთან, ვისაც კი რაიმე ძალა აქვს. ბოლოსდაბოლოს ხომ აშკარაა ყველასათვის, ვინც ამ თამაშს იცნობს, რომ ეს ძალაუფლების მქონე ხალხი იყენებს ჩვენს ყოფილ მთავრობას თავისი მიზნებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის საქმე კი მათ ისე აინტერესებს, როგორც შარშანდელი თოვლი».

ემიგრაციის შესახებ

«მთავრობის» თამაში, ვიმეორებ, აქ მხოლოდ სასაცილოდ გვეჩვენება, ის არავისში, როგორც ამბობენ თვით რეაქციონურ თავად-აზნაურთა წრეებშიაც, არ იწვევს რაიმე იმედებს, მაგრამ იქ, ემიგრაციაში სხვა საქმეა. უბედური, გაღატაკებული, უქმელობიდან ფიზიკურად არაქათგამოცლილი ემიგრანტები კიდევ ფიქრობენ იმაზე, რომ დაბრუნდებიან თავის სამშობლო კერასთან გამარჯვებული და

უცდიან რაღაცას და იცნებობენ რაღაცაზე. ხოლო 90 პროცენტს ყველა იმათ შორის, ვინც წავიდა აქედან მთავრობასთან ერთად, თავისუფლად, როგორც თავის თავის, ისე თავისი კეთილების სასარგებლოდ, შეუძლია დაბრუნება ყოველგვარი საფრთხის გარეშე. არავინ მათ ხელს არახლებს, არავის მათი ძველი ცოდვები არ ახსოვს. მათ მოსთხოვენ მხოლოდ ერთად-ერთ პირობას, რომ არავითარი არალეგალური მუშაობა არ აწარმოონ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. და ამ მოთხოვნილებას ისინი, რასაკვირველია შეასრულებენ. რაც უფრო ადრე იზამენ ამას ემიგრანტები, მით უფრო უკეთესია როგორც მათთვის, ისე საქმისათვის.

მარსელის კონგრესი

«საგულისხმოა ის, რომ ხალხთა მასების სიმპატიების ზრდის გავლენით მეორე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესი იძულებული იყო ეცნო «ნახევარი თავისუფლება» რუსეთში და აშკარად გამოეცხადებია თავი რუსეთის ხალხის მომხრედ, თუ ადგილი ექნება სამხედრო კონფლიკტს ევროპის ბურჟუაზიასთან».

მენშევიკური ორგანიზაცია საქართველოში

«ადგილობრივ მენშევიკურ ორგანიზაციებში თკენ იშვიათად შეხვდებით ძველ მუშას, მათი მუშაკები მხოლოდ ახალგაზრდები არიან. ამ ახალგაზრდებსაც არ სწამთ იმ საქმის სისწორე, რისთვისაც მათ უხდებათ ბრძოლა. ამით აიხსნება ამ ორგანიზაციის უაღრესი სისუსტე, ის, რომ მათ მუშაობას პირდაპირ უცქერის «საგანგებო კომისია» ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამ ორგანიზაციების წერილები, განკარგულებები ჯერ მიდის «საგანგებო კომისიაში» ხოლო შემდეგ ეგზავნება ადრესატს. ამაში ადვილათ დარწმუნდებით, ერთი დღეც რომ დარჩეთ საგანგებო კომისიაში».

საერთაშორისო კოოპერატიული პლენუმი

პარიზში ჩამოვიდნენ საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის («ალიანსის») პლენუმისათვის მისი წევრები: მალაქია ტოროშელიძე (საქართველოდან), კურსელიან (სომხეთიდან) და ფარიჯან ზადე (აზერბეიჯანიდან).

КОММЕРЧЕСКИЙ БАНК
ДЛЯ СЕВЕРНОЙ ЕВРОПЫ

26, авеню Опера, ПАРИЖ

Телефоны: Louvre 05-87 и 03-21 / Central 53-08 и 65-55

Телеграфный адрес: EUROBANK

Производит все банковские операции

Перевод денег во все места СССР почтой и телеграфом, как в червонных рублях, так и в иностранной валюте

Прием вкладов и открытие текущих счетов.

Размен иностранной валюты, в том числе и червонцев.

Аккредитивы.

Бесплатные справки по всем вопросам, касающимся денежных операций с СССР.

Непосредственные корреспондентские сношения с Грузией

D'après les analyses de laboratoire et les études cliniques faites par les professeurs G. A. Zakharine, M. P. Tchérinov, A. I. Chtchierbakov, P. I. Kovalevsky, I. N. Obolensky, F. I. Pasternatsky, S. M. Vassiliev, I. P. Skvortsov, G. Rodzaevsky, S. I. Zalessky, I. M. Doghel, M. V. Ianovsky, N. F. Golubov, N. A. Zasetsky, A. P. Favitsky, des professeurs étrangers, I. Boas et Bickel, et de beaucoup d'autres sommités scientifiques

L'EAU MINÉRALE DE GÉORGIE

BORJOM

est employée avec le plus grand succès dans le traitement des

Affections de l'Estomac et de l'Intestin
(Catharres chroniques — Acidité — Névrose de la sécrétion — Inflammations)

Catharres des Voies respiratoires
(Expectoration d'humeurs épaisses — Expectoration insuffisante)

Maladies du Foie (Pierre biliaire — Afflux hépatiques par suite d'excès d'alimentation ou d'abus de boissons alcooliques)

Maladies du Rein et des Voies urinaires
(Pierre — Granulations — Inflammations chroniques — Catharres de la vessie)

Irrégularités et Vices de la Circulation
(Insuffisance des acides — Goutte — Diathèse urinaire — Pierre — Diabète — Obésité — Rhumatisme chronique)

ET POUR FACILITER L'ASSIMILATION DE NOMBREUX MÉDICAMENTS
(Iodure et bromure de potassium — Bismuth — Salicylates — Spermines, etc.)

U. R. S. S., Géorgie — TIFLIS — | ADRESSE TÉLÉGRAPHIQUE: CAUCASE, TIFLIS, KÉBADZÉ | Représ' des Eaux de BORJOM — KÉBADZÉ D. E.

[მ]ის სოციალისტები გამოექომაგებოდენ ჩვენ საქმეს და რუსეთს უკან დაახევინებდენ? ესეც ხომ ტყუილი გამოდგა. და რაც უმთავრესია, არც უთქვამს ამ სოციალისტებს,—ჩვენი იმედით თქვენ ასე იყოყოჩეთო,—ისინი ყოველთვის ეძებდენ შემარიგებელი ხაზი აგვეღო.

გავწირა რა ლოიდ-ჯორჯმა, როგორ დაგვეხმარა სოციალისტები? პირველი მაგარი სილა ჩვენ გაგვაწნა გერმანიის სოც.-დემოკრატიამ; მისი უახლოესი თანამშრომლობით მოხდა ცნობილი რაპალოს ხელშეკრულება რუსეთთან და ჩვენი კითხვა იქ სავსებით დამარცხდა. ს. დემ. პრეზიდენტის ებერტის დროს მოხდა ეს, ვერ გვიშველა კარლ კაუცკის პროტესტმა და ვერც ედ. ბერშტეინის თანაგრძნობამ.

ან და მაკდონალდმა, დიდი ბრიტანეთის იმპერიის მთავრობის თავმჯდომარემ, როგორ დაგვეხმარა? აი რას აცხადებს მისი მინისტრი პონსონბი (აჯანყების შემდეგ პალატაში საქართველოს შესახებ) «საქართველოს და რუსეთის საქმეში ინგლისი ვერ ჩაერევა—საქართველოში მომხდარი ამბავი—რუსეთის შინაური საქმეაო»... მაგრამ მაკდონალდსაც რასაკვირველია, როგორც გერმანიის ს.-დემ.. ვერ დავემდურებით,—ვინაიდგან, როგორც პირველს, ისე მეორეს არ უთქვამს—გვაცალეთ კომუნისტებს, რა დღე გაჩვენოთ»... ან შეიძლება ნაციათა ლიგის იმედით ასე მაგრათ ვლაპარაკობდით და ომის გაგრძელებას ვქადაგობდით? იმ ლიგის, რომელსაც პაციფისტურ რეზოლიუციების გამოტანა კი ეხერხება, პლატონიური თანაგრძნობით აღსავსე ქნით, მაგრამ პრაქტიკულ პოლიტიკას ვერ ქმნის: ვისი ან და რისი იმედით დავიჭირეთ ასეთი შეურიგებელი პოზიცია რუსეთთან, და საქართველოში იმ პარტიებთან, რომელთანაც ჩვენ გვაერთებდა ყოველ შემთხვევაში საერთო მსოფლიო მხედველობა (მარქსიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ფილოსოფია), და მასთან ერთათ ტრადიცია ერთად გავლილი ბრძოლისა. რატომ ვერ გაიგეს ჩვენმა ლიდერებმა ის ჭეშმარიტება, რომ დიდი მეზობელი რუსეთი საქართველოსათვის უნივერსალური ფაქტორია—რომელიც აწესრიგებს ჩვენ ცხოვრებას და აძლიერებს მასში იმ მიმართულებას, რომელიც ეს მას (რუსეთს) სურს,, ერთ საუკუნე ძეოთხედი ჩვენ ამას რეალურათ ვხედავთ. ასეთი მძლავრი ფაქტორობა რუსეთისა არ ხდება, რასაკვირველია ჩვენი სუბიექტიური სიმპატია—ანტიპატიის ზეგავლენით, ანდა ამ სუბიექტიურ მომენტს არა აქვს ისე დიდი გავლენა, როგორც ლიდერებს წარმოუდგენია—არამედ ეს ფაქტიური ისტორიული აუცილებლობის ზეგავლენით მეიქნა და ჩვენი ქვეყანა ისტორიის რკინის ლოღიკით ჩაებბა ამ პროცესში.

ეს გარემოება, ამ 130 წ. წინ კარგად შეიგნო ჩვენმა წინაპრებმა და ნუ თუ ჩვენ ისე ჩამოვრჩით ცხოვრებას, რომ საქართველოს ისტორიის არაფერი გვახსოვს?... მაგრამ იმის კითხვა, იქნებ ეს რუსეთი ისე უკულტუროა, ისე ჩამორჩენილია, რომ მასთან მეზობლობა და მაზე ორიენტაცია ჩვენ ერს დააქვეითებს, ეკონომიურად და კულტურულათ დაამარცხებს?

ჩვენ ხომ კულტურული ერი ვართ, და რად გვინდა უკულტურო ერის გავლენა, ქვეშ კიყოთ?—აი ამ აზრს ანვითარებენ დღეს ჩვენი ლიდერები. მერმე მართალია ეს? როდის შემდეგ შეიქნა რუსეთი უკულტურო? და აი კიდევ უნდა გავიხსენოთ ჩვენი ძველი ნოე—ის ხომ ამბობდა რომ რუსეთის შემოსვლა (საქართველოში), იყო უმაღლესი კულტურის შემოტანა ჩვენში. რუსეთმა დაანგრია ჩვენი ფეოდალიზმი და მის ნანგრევზე ააშენა ბურჟუაზიული ვითარება—გაჭრობა მრეწველობა, გააერთიანა ქართველი ხალხი და აქედან ჩამოყალიბდა ჩვენი ქართული ერი—ეროვნული თვითშეგნებით და ყველა იმ ატრიბუტებით, რაც ახასიათებს თანამედროვე კულტურულ ერსო (ისილეთ ნოე ჟორდანიას წიგნი «ნაციონალური საკითხი ჩვენში») სრული ჭეშმარიტებაა ეს!... და ეხლანდელი ნოეს თეორიები ამ ჭეშმარიტების გაუქმებას ვერ შეასმლებენ.

რა კი ბოლშევიკები დარწმუნდენ სავსებით იმ ფაქტში, რომ მენშევიკები ომის გუნებაზეა და მას აწყობენ (ლიდერები იყვნენ ამ გუნებაზე და მათ კი მოაზვიეს ომი მასებს თავზედ)—ომს ომით შეხვდენ და გააჩაღეს ცნობილი რეპრესიები. მაგრამ უნდა ითქვას ეს, რეპრესიები გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა არ იყო დასაწყისში მაინცდამაინც დიდი მწვავე. მეტეხის ციხეში «ბატონები» ჩვენ ვიყავით. ჩვენი მეტეხის ცენტრი მშვენიერათ აწერხებდა პარტიულ მუშაობას. მაგრამ ჩვენ პოლიტიკას—მივუმატეთ აქტიობაც. ეს პარიზის გეგმა იყო, რასაკვირველია. დაიწყო გამოსვლები, ჯერ სვანეთში, შემდეგ დუშეთში. იარაღი დავაჩხარუნეთ; კომუნისტებმა ამის საპასუხოთ მეტი რეპრესიის ცეცხლი დაანთეს. დაიწყეს გადასახლება ევროპაში—რუსეთში. ამ დროს ოზურგეთში მთავრობის რწმუნებულს ობოლაძეს და მასთან მთელ ჯგუფს ესხმიან თავზედ და ხოცავენ. კომუნისტებმა უპასუხეს ამას პირველი კოლექტიური დახვრეტით. ამნაირათ შევედით სამოქალაქო ომის ფაზაში, ამ დროს გადის პარტიიდან ცეკას წევრი ვ. თევზაია—ის აცხადებს აჯანყების წინააღმდეგი ვარო. დაიწყო სოციალ დემოკრატიულ პარტიის დაცალიერება, შემდეგ ფარნიევი (ოსი მუშა) და რუხაძე გადის, თბილისში, პროვინციებში მუშები კრებებს აზდენენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და კოლექტიურად გადადიან რევოლუციის პარტიაში—ბოლშევიკებისაკენ—14.000 ძველი მუშები სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრები სტოვებენ ამ პარტიას და მიდიან კომუნისტებთან. დანარჩენი ათასები ს.-დემ. პარტიიდან გამოდის და უპარტიოთ აცხადებს თავს. აჯანყების წინ ჩვენ იმფორმაცია მივიღეთ საქართველოდან და იქ ეწერა—14.000 პარტიის წევრი კიდეც შეგვრჩაო, ამ დროს სეით დევდარიანმა უარყო აჯანყების ტაქტიკა და დამოუკიდებლათ გამოაცხადა ის. ნოე ჟორდანიას მოსწერა პარიზში, ხალხს ნუ ღუპავ, ჩამოდი საქართველოში, აქ მეტი გაკეთდება შეთანხმებით, ვიდრე ომითო. ამისათვის სეითი პარტიის გარეშე დააყენეს. პარიზის ბიურომ თავის «შეყვარებული» ტაქტიკა აჯანყებისა არ უარყო. ათი ათასობით პარტიის წევრების გასვლა პარტიიდან ბიურომ ახსნა:—«მოსყიდულები, მოღალატეები და ლაჩრები არიანო» მაიძლება პირთერება ... მოსყიდულიც მოღალატე-

ლაჩარიც, მაგრამ როდესაც ამოდენა ზღვა მასსა პარტიის რიგებს სტოვებს, მეზრდილი და შესისხლხორცებული ამ პარტიასთან, ამ მასსების წასვლას უნდა გამოეწვია ლიდერებში—უფრო სერიოზული შეფასება ამ მოვლენისა, მაგრამ როდესაც ჯგუფი ან პარტია განწირულია, მას თურმე ვერაფერი იხსნის.

აი კატასტროფის დღეც ახლოვდება თურმე, დ სწორეთ 15—20—დღის წინეთ ვიდრე აჯანყება მოხდებოდა «კომუნისტში» ვკითხულობთ შემდეგ წერილს: «შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ მენშევიკების ორგანიზაციები და ცეკა ზედიზეთ ხელში გვივარდება. ჩვენ ყველაფერი ვიცით რას ფიქრობენ (მენშევიკები) და რას აპირებენ თქვენ. გაფრთხილებთ, იანგარიშეთ, ანგარიშში არ მოსტყუვდეთ. სასტიკათ აგებთ პასუხს, იცოდეთ. (დაახლოვებით ასეთი შინაარსის წერილი იყო «კომუნისტში»—ხელს აწერდა პასუხის მგებელი პირი მის. კახიანი). აქედან ცხადია, რომ ჩვენ ერთხელ კიდევ გაგვაფრთხილეს, თან გვაგრძნობინეს, რომ მათ იციან ყოველივე კომბინაცია იარაღის ჩხარუნისა, ამას შემდეგ პ ა რ ი ზ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო პ რ ე ს ი ს ი ა მაინც უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ ამაოთ. ეს ასე არ მოხდა—ერმა მსხვერპლი უნდა გაიღოსო, ამბობდენ ლიდერები თურმე... და ასეც მოხდა ქართველი ერის საუბედუროთ ჩვენ მას თავზე პარიზელი ავანტიურა მოვახვიეთ. ამ აჯანყებამ ნათლათ დაამტკიცა ჩვენი არა თუ ფიზიკური დამარცხება, არამედ მორალური და პოლიტიკური სიკოტრეც, ევროპაში, მართალია გაზეთები ახმაურდენ, მაგრამ ეს ახმაურება პროვოკაცია იყო მონარხისტ ბატონ ბიროს სუვორინის და ნოე რამიშვილის კოალიციის, საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, და მეტი არაფერი. ამ აჯანყების შემდეგ, პატიოსანი ვინც კი დარჩა ჩვენ ძველ პარტიაში კოლლექტიურათ სტოვებს ამ პარტიას და უერთდება რევოლიუციის პარტიას კომუნისტებს—ასეთი ყოფილა ისტორიის აუცილებლობა და ეს გულწრფელად უნდა ვაღიაროთ ჩვენ, საერთოთ ვისაც აქამდის შეცდომის პოლიტიკის ხაზი ვერ გამოუნახავსთ.

როგორ პირობებშია დღეს სოც.-დემ. ჯგუფი? რასაკვირველია გაკოტრების ქვეშ?—ცეცხლთან თამაშობა ვის შერჩენია? დასკვნა: ვინ დარჩა სოციალ დემოკრატიის რიგში—რასაკვირველია ცოტა იდენა ჯგუფები და ფანატიკოსები! ვინ წავიდა პარტიიდან—ძველი მუშები. რევოლიუციონერები რეთი წავიდენ? ათასები, ათი ათასები!.. ვინ იზიარებს და ამართლებს აჯანყებას და ინტერვენციას?—არავინ გარდა ავანტიურისტებისა და «თავგანწირული» ემიგრანტებისა; უმათვრესათ კი ნოე რამიშვილის ჯგუფი.

ალფესი ხელაძე.

შეცდომის შესწორება.

ა. ხელაძის წერილში («წარსული გაკვეთილი)» რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ «ახალ საქართველოს» № 11-ში, შემდეგი შეცდომაა;

მეორე გვერდზე, მესამე სვეტში,, ის აბზაცი, რომელიც იწყება მეათე სტრიქონზე და თავდება მეოცეზე, უნდა-ყოფილიყო დაბეჭდილი პირველი სვეტის ბოლოს

რედაქცია.

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, Impasse Crozatier (12e) R. C. (Seine) 167.590

Le Gérant : L. BAR.